შპს „სიემ ტექ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(არააუდირებული)

შპს „სიემ ტექ“
სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება/ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-14

შპს „სიემ ტექ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2,566,573	2,032,321
		2,566,573	**2,032,321**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	976,336	1,872,442
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	1,989,784	1,331,910
მარაგები	6	537,417	316,006
		3,503,537	**3,520,358**
მთლიანი აქტივები		**6,070,110**	**5,552,679**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5,918,746	5,471,796
		5,918,746	**5,471,796**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
			-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	151,364	80,884
		-	-
		-	-
		-	-
		151,364	**80,884**
მთლიანი ვალდებულებები		**151,364**	**80,884**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**6,070,110**	**5,552,679**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ხელისმომწერი პირი:

ლევან გოჩიტაშვილი

დირექტორი

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სიემ ტექ"
სრული შემ ოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

		12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	8	5,973,232	9,761,749
თვითღირებულება		(3,548,054)	(5,764,551)
საერთო მოგება		**2,425,179**	**3,997,198**
სხვა შემოსავლები	9	30,033	1,332
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(1,751,369)	(4,093,093)
მიწოდების დანახარჯები	11	(23,102)	(26,439)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	12	(484,173)	(233,790)
საოპერაციო მოგება		**446,950**	**(605,175)**
ფინანსური ხარჯი	13	-	(22,998)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	**(22,998)**
მოგება დაბეგვრამდე		**446,950**	**(628,173)**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**446,950**	**(628,173)**
სხვა სრული შემოსავალი:			-
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**446,950**	**(628,173)**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ხელისმომწერი პირი:

ლევან გოჩიტაშვილი
დირექტორი

"CM TECH" LLC * CM Tech * 411322331 * GEORGIA

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სიემ ტექ“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	**6,099,969**	**6,099,969**
წმინდა მოგება	-	-	(628,173)	**(628,173)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(628,173)	**(628,173)**
გაცემული დივიდენდი	-	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	**5,471,796**	**5,471,796**
წმინდა მოგება	-	-	446,950	**446,950**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	446,950	**446,950**
გაცემული დივიდენდი	-	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	**5,918,746**	**5,918,746**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ხელისმომწერი პირი:

ლევან გოჩიტაშვილი
დირექტორი

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "სიემ ტექ" -ი (შემდგომში „კომპანია") დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2017 წლის 6 ოქტომბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიის 25%-ანი წილის მფლობელს წარმოადგენს ნასირ აბდულაევი, 25%-ს კაან ატალაი, 25% ირადა აბდულაევა, ხოლო დანარჩენი 25%-ს ფლობს ფატულლა მოვსუმოვი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე და იმპორტის საბაჟო რეჟიმით საბურღი ტექნიკისა საქონლის შეძენა და რეალიზაცია. ასევე დროებით გატანა ექსპორტზე, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სადაც კომპანია ხელშეკრულების საფუძველზე აზერბაიჯანულ კომპანიას საბადოზე მომსახურებას უწევს საბურღი ტექნიკით.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, რაიონი, ელ. ამაშუკელის ქუჩა, N 23, ბინა 96.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდასთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2023	31/12/2022
1 USD/GEL	2,6894	2,7020
1 EUR/GEL	2,9753	3.8844

კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული *„ბრძანება №6-6“*-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი

საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცველბასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუოდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, ატივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანიას აღარ გააჩნია არანაირი სასეხო ვალდებულება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარიალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით.ყოველ ანგარიშგების დღეს,მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის.თუ მარაგები გაუფასურდა,მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი.გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია

ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2022	**3,286,152**	**208,027**	**6,653**	**703**	**3,494,180**
შემოსვლა	943,438	-	1,694	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**4,229,590**	**208,027**	**8,347**	**703**	**4,437,618**
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2022	**(1,284,552)**	**(181,354)**	**(2,906)**	**(402)**	**-**
პერიოდის ცვეთა	(382,537)	(26,673)	(1,529)	(141)	**(410,880)**
გაუფასურება	-	-			**-**
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**(1,667,089)**	**(208,027)**	**(4,435)**	**(542)**	**(1,880,094)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	**2,001,600**	**26,673**	**3,747**	**301**	**2,032,321**
31 დეკემბერი 2023	**2,562,501**	**-**	**3,912**	**160**	**2,566,573**

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2023	12/31/2022
ნაღდი ფული სალაროში	-	1,652
ფული საბანკო ანგარიშებზე	976,336	1,870,790
სულ	**976,336**	**1,872,442**

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,988,769	1,317,421
გადახდილი ავანსები	1,015	14,489
სულ	**1,989,784**	**1,331,910**

6. მარაგები

მარაგები

	12/31/2023	12/31/2022
მარაგები	537,417	316,006
სულ	**537,417**	**316,006**

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ვალდებულებები	(104,280)	80,884
მიღებული ავანსები	(47,084)	-
სულ	**(151,364)**	**80,884**

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:
სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

8. ამონაგები

ამონაგები

	12/31/2023	12/31/2022
საქონლის გაყიდვა	5,973,232	9,761,749
მომსახურების გაწევა	-	-
სულ	**5,973,232**	**9,761,749**

9. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავალი

	12/31/2023	12/31/2022
არასაოპერაციო მოგება	30,033	1,332
სულ	**30,033**	**1,332**

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	12/31/2023	12/31/2022
ძირითადი საშუალებების რემონტი	(17,615)	(11,735)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(289,830)	(221,371)
სამივლინებო ხარჯი	(19,616)	(29,820)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(2,254)	(2,744)
ხელშერკრულებით გათვალისწინებული თანხების კორექტირების ხარჯი	-	(2,272,553)
დაზღვევა	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(410,880)	(371,692)
სხვა საერთო ხარჯი	(988,426)	(1,160,994)
ქონების გადასახადის ხარჯი	(22,748)	(22,186)
სულ	**(1,751,369)**	**(4,093,093)**

11. მიწოდების დანახარჯები

მიწოდების ხარჯები

	12/31/2023	12/31/2022
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(23,102)	(26,439)
სულ	**(23,102)**	**(26,439)**

12. სხვა შემოსულობები/ (ზარალი)-ნეტო

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	12/31/2023	12/31/2022
სხვა შემოსულობა/(ზარალი)-ნეტო	(230)	(32,079)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(233,559)	(452,094)
სულ	**(233,790)**	**(484,173)**

13. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	12/31/2023	12/31/2022
გადასახდელი პროცენტები	-	(22,998)
სულ ფინანსური დანახარჯები	-	**(22,998)**

14. დაკავშირებულ მხარეთა მოვლენები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	31/12/2023	31/12/2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	244,269	174,037
სულ	**244,269**	**174,037**

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომიუკრაინაში,რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს ატლას კორპ ჯორჯიას საქმიანობა არ არის დაკავშირებული რუსეთთან, აღნიშნულმა ფაქტმა კომპანიის საქმიანობაზე მაინც იქონია უარყოფითი გავლენა. რუსეთზე დაწესებულმა სანქციებმა შეაჩერა ჩვენი სარეალიზაციო პროდუქტების საწარმოებლად საჭირო ნედლეულის მიწოდება, რამაც წარმოების ჯაჭვის წყვეტამ

გამოიწვია. შესაბამისად გაძვირდა საბოლოო პროდუქტი და ხშირ შემთხვევაში გააორმაგა მიწოდების ვადები, რაც კომპანიის საქმიანობას სერიოზულად აფერხებს.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2023 წლის 26 სექტემბერს